შ.პ.ს.
„კოლხა-07“
საქართველო. თბილისი.
ვაშლიჯვარი, 4-ბ
ტელ. (+995) 599 02 50 65

L.T.D.
KOLKHA-07
4-b Vashlijvari
Tbilisi. Georgia
Tel. (+995) 599 02 50 65

№ 141/15

„10 ნოემბერი 2015წ

ტექნიკური დასკვნა

ქ. თბილისი, ჩუღურეთის რ-ნში უშანგი ჩხეიძის ქ. №12-ში და №16-ში მდებარე ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლების მდგრადობის შესახებ

შ.პ.ს. „კოლხა-07“-ს სპეციალისტების მიერ შესწავლილ იქნა ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არსებული საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა.

ჩუღურეთის რ-ნში უშ.ჩხეიძის ქ. №12-ში და №16-ში მდებარე ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლები ავარიულ მდგომარეობაშია. აღინიშნება სახლების ფუნდამენტების ჯდენა, კაპიტალური კედლების დაზიანებები (ვერტიკალური და ჰორიზონტალური ბზარები), ფანჯრისა და კარების ზღუდარი დეფორმირებულია.

აქედან გამომდინარე უშ.ჩხეიძის ქ. №12-ში და №16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, ე.ი. ავარიული.

უშ. ჩხეიძის ქ. №12-ში და №16-ში მდებარე ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლები მეპატრონის თხოვნით და ჩვენი გამოკვლევით სასურველია, რომ უშ.ჩხეიძის ქ. №12-ში და №16-ში მდებარე ორ სართულიან საცხოვრებელ სახლებს ჩაუტარდეს სადემონტაჟო სამუშაოები.

მოგახსენებთ, რომ უშ.ჩხეიძის №16-ში არსებული მაღაზიის მომიჯნავე მდებარე შენობის კედელი აშენებულია აგურით ქვიშა ცემენტის დუღაბზე. ვიზუალური შიდა და გარე დათვალიერებით, როგორც ქუჩის ასევე ეზოს მხრიდან კარგ მდგომარეობაშია და არ გააჩნია ბზარები; (არც ვერტიკალური ბზარები და არც ჰორიზონტალური ბზარები). დუღაბის დაშლა და აგურების მორყევა არ ფიქსირდება, ასევე ცოკოლის დათვალიერების დროს მასზე არ შეიმჩნევა ბზარები, რაც გვაძლევს იმის საშუალებას რომ დავასკვნათ: როგორც ფუნდამენტი ასევე ცოკოლი და კედელი მდგრადია. უშ.ჩხეიძის ქუჩის №16-ში განთვსებული მაღაზიის დემონტაჟის დროს მის მიმდებარედ განთავსებულ ორ სართულიან შენობას საფრთხე არ ემუქრება.

დასკვნა

შ.პ.ს. „კოლხა-07“-ის სპეციალისტების მიერ ვიზუალური დათვალიერების და შესწავლის შედეგად ვადგენთ:

მომზადდეს ქ. თბილისში, ჩუღურეთის რ-ნში, უშანგი ჩხეიძის ქ. №12-ში და №16-ში მდებარე ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლების დემონტაჟის პროექტი. აგრეთვე ვადგენთ, რომ აღნიშნული სახლების დემონტაჟი უარყოფით გავლენას არ გამოიწვევს მის მიჯნაზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლის მდგრადობაზე, იმის გათვალისწინებით, რომ სადემონტაჟო სამუშაოები აუცილებლად უნდა ჩატარდეს ხელით.

შ.პ.ს. „კოლხა-07“-ის
დირექტორი: / თ. ბადათურია /